F75 N513

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი სამშაბათი 1 დეკემბერი № 277 (18219) ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომლებმაც განხილეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1981 წლის 22-25 ნოემბრის ვიზიტის შედეგები, მოლიანად და სავსებით იწონებენ იმ ფრიად მნიშვნელოვანსა და სასარგებლო მუშაობას, ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გასწია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან ჰ. შმიდტთან, სხვა დასავლეთგერმანელ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოლაპარაკებისა და საუბრების დროს, ზოგადევროპული და მსოფლიო რეზონანსი პოვა ვიზიტის დროს ლ. ი. ბრეჟნევის საჯარო გამოსვლებმა. მთლიანად ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გახდა ნამდვილი მშვიდობის მისია ამ სიტყვის უსრულესი და უმაღლესი გაგებით.

საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელ დაძაბულ, ფრიად საფუსსაგებ მომენტში, როცა ეს ურთიერთობა შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს ანდა უკეთესობისაკენ იბრუნოს პირი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ გერმანიის ორმხრივი ურთიერთობის, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის მთელი კომპლექსისათვის, მსოფლიო პოლიტიკის საერთო მიმართულებისათვის.

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ახალი უმაღლესი დონის შეხვედრის მიმდინარეობა და შედეგები კიდევ ერთი დასტურია საერთაშორისო საქმეებში იმ კურსის ქმედითობისა, სკკპ XXVI ყრილობამ რომ შეიმუშავა ომის, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, განიარაღების, დაძაბულობის შენელების, სხვადასხვა სოციალური წყობილების ხალხთა მშვიდობიანი თანაშრომლობისათვის. ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკებანი და საუბრები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მისი შეხვედრები და გამოსვლები 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამის პრაქტიკული განხორციელების დიდი პოლიტიკური აქცია გახდა.

საბჭოთა ხალხის, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების, ევროპის ყველა ხალხთა უშიშროების ძირეული ინტერესები მოითხოვდნენ ბონის მოლაპარაკების ცენტრში ყოფილიყო ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხი: როგორ ავიცილოთ თავიდან საფრთხე, რომელიც ევროპას შეექმნა დასავლეთ ევროპის მთელ ტერიტორიაზე, უწინარეს ყოვლისა კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ახალ სახეობათა ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმების გამო. არ დავუშვათ ძალების ბალანსის დარღვევა ნატოს ბლოკის სასარგებლოდ. ეს საკითხი ლ. ი. ბრეჟნევმა სრულიად პირდაპირ, სრულიად გარკვევით დააყენა.

ლ. ი. ბრეჟნევმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წამოაყენა ახალი, სამერმისოდ გათვალისწინებული წინადადებანი, რომლებიც ემსახურება ერთ მიზანს — მივაგნოთ ორივე მხარისათვის მისაღებ მორიგებას, თავიდან ავაცილოთ ევროპას ბირთვული ხანძრის საფრთხე. ეს წინადადებანი მარტოოდენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს როდი ეხება. ისინი შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებსაც იმასთან დაკავშირებით, რომ 30 ნოემბერს ჟენევაში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის შესახებ.

ახალი საბჭოთა წინადადებების არსი შემდეგი გახლავთ.

ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირმა არსებითად შეაჩერა თავისი ბოლო ნებადლი წინადადება ევროპაში საშუალო სიშორის ახალ ტიპის საშუალებათა განლაგებისა და არსებულ საშუალებათა მოდერნიზაციის მორატორიუმის შესახებ იმ პერიოდისათვის, ვიდრე ამ მოლაპარაკება წარმოებს ამ სახეობათა შეიარაღების სადისკუსიოებზე. გამოითქვა საბჭოთა მხარის მზადყოფნა — ასეთ მორატორიუმზე მეორე მხარის თანხმობის პირობით — შეამციროს ევროპის ნაწილი ნესით თავისი საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების გარკვეული ნაწილი სსრ კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე. ამასთან ეცადონ უფრო დაბალი დონის მიღწევას, რომლის საფუძველზეაც სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებენ მორიგდნენ მოლაპარაკების შედეგად.

მეორე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს ყინვის მოლაპარაკების დროს ოდენ, რათა ორივე მხარემ რადიკალურად შეამციროს საშუალო სიშორის ბირთვული იარაღები. ამასთან ერთად, ეს საყოველთაო მშვიდობის ბედ-იღბლის საკითხიც არის. საბჭოთა კავშირი მომზრეა ამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოლაპარაკების მაგიდასთან, რათა ევროპის უშიშროება არ შეილახოს, ამასთან ევროპაში კლებულობდეს სამხედრო კონფრონტაციის დონე.

მაგრამ ილუზია იქნებოდა იმის იმედით ვყოფილიყავით, რომ ასეთი გადაწყვეტა თავისთავად მოვა. ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ძირითადი ნატოელი მოკავშირეები ჯერაც არ იჩენენ მისწრაფებას, რომ რეალიზმის სულისკვეთებით, თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპის საფუძველზე დაადგენენ ორივე მხარისათვის მისაღებ მორიგებათა ძიების გზას. ბონში გამართულმა მოლაპარაკებამ კვლავ ცხადყო, რომ ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა საკითხში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან საბჭოთა კავშირისა და ნატოს, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიციები.

საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ ნატოს თავკაცი სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა კი ამერიკის შეერთებული შტატები, კვლავინდებურად ცდილობენ თავისათვის სამხედრო უპირატესობის მოპოვებას და ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას. როგორც არაერთგზის მტკიცედ და ნათლად განუცხადებია ლ. ი. ბრეჟნევს, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტის დროსაც, საბჭოთა კავშირი ამას ვერ შეურიგდება. საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია არასოდეს არ დათმობენ ჩვენი ქვეყნის უშიშროების, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროების ინტერესებს. ეს უნდა ახსოვდეთ ევროპის ხალხებს, ამერიკელ ხალხს, უნდა ახსოვდეს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია განიარაღებისა და მშვიდობის საქმე. და ეს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული დასავლეთის სახელმწიფოთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელებსაც.

ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამართული მოლაპარაკებიდან გამომდინარეობს, ის არის, რომ სახელმწიფოებმა, განურჩევლად მათი სოციალური წყობილებისა, ამა თუ იმ სახელწოდებისა, ყველაფერი უნდა იღონონ და კვლავაც ერთად იღვაწონ მშვიდობის განსამტკიცებლად, დაძაბულობის შენელებისა და ნდობის კლიმატის აღსადგენად. მთავარია, ეს ჰქონდეს ყველა სახელმწიფოს პრაქტიკული პოლიტიკის ორიენტირად.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკებამ ბონში ცხადყო, რომ ერთმანეთს ემთხვევა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეხედულებანი გართულებულ საერთაშორისო პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური დიალოგის განგრძობის მნიშვნელობაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს მიიჩნევათ და მიიჩნიათ, რომ ყოველმა ქვეყანამ, რომელსაც შეგნებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მოვლენათა მიმდინარეობის გამო, რაც კი რამ შეუძლია ყველაფერი უნდა იღონოს ისეთი პოლიტიკური ატმოსფეროს შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს მოლაპარაკების წარმატებით მოწყობასა და დიალოგის განვითარებას. რაც შეეხება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიალოგს, საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში განსაზღვრულია სრულიად ნათლად, უწინარეს ყოვლისა, სკკპ XXVI ყრილობაზე. საბჭოეთი ასეთი დიალოგის მომხრეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდად აფასებენ ვიზიტის დროს მიღწეულ შედეგებს, რომლებიც საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას ეხება. ისინი ახალ ენერგიულ იმპულსს ანიჭებენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა დარგის კეთილმეზობლური მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას. ვიზიტის წინ დაიდო „გაზ-მილების“ კონტრაქტი — ჩვენ საუკუნეში უდიდესი თაოსნობა ევროპის ფარგლებში ენერგეტიკული პრობლემის გადასაჭრელად. სხვა პროექტებთან ერთად, რომლებიც უკვე შეათანხმეს ან ამყარად განიხილავენ მხარეები, იგი სოლიდურ საფუძველს უქმნის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობის, იმ ურთიერთობის თანამიმდევრულ განვითარებას, მეოცე საუკუნის ფარგლებს რომ სცილდება.

მოლაპარაკების დროს და მხარეთა მიერ მიღებულ ერთობლივ კომუნიკეში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორმხრივი ინტერესების შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობის სასიკეთო განვითარება დადებითს ზემოქმედებას ახდენს მოლიანად სახელმწიფოთა ურთიერთობაზე და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტაბილურობასა და მშვიდობის დამკვიდრებას.

ვიზიტის დამთავრებისას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ ორივე სახელმწიფო კვლავაც ივლის ისტორიული მარშუტით, რომელიც სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში გაკვალა მოსკოვის ხელშეკრულებამ, ხოლო სრულიად ევროპის თაობირის მონანილე ყველა ქვეყნის ურთიერთობაში — ჰელსინკის საბოლოო აქტის ერთგული იქნება.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს მისცა მითითება, რომ განუხრელად და სრული მოცულობით სრულდებოდეს მორიგებანი, რომლებიც გამომდინარეობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამართული მოლაპარაკებიდან და საუბრებიდან და შეეხება თანამშრომლობის განვითარებას სავაჭრო-ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში.

საბჭოთა ადამიანებს ყველა საფუძველი აქვთ იმისა, რომ ღრმად კმაყოფილნი იყვნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურმა სხგარეო პოლიტიკამ, რომელიც მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო კოორდინაციით ხორციელდება, კვლავინდებურად ცხადყო, რომ მშვიდობისმოყვარული, მასშტაბური და ინიციატივიანია, ღრმად სწვდება ადამიანების გონებასა და გულს.

ხალხთა უშიშროებისა და პროგრესის, დაძაბულობის შენელების სასიკეთოდ, გამალებული შეიარაღების ასალგამავად საბჭოთა კავშირის საერთაშორისო საქმიანობა, ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ნელილი ამ დიადი მიზნების მიღწევაში ხელს უწყობს იმას, რომ მთელ დედამიწის ზურგზე მტკიცდება მისწრაფება: შევინარჩუნოთ კაცობრიობის ცივილიზაციის უდიდესი შენაძენი — მშვიდობა, ვიცავდეთ მას აქტიურად და ყოველდღიურად.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ძალუმად და მტკიცედ გაისმის ხალხების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალებისა და წრეების ხმა მშვიდობის დასაცავად, მით უფრო მეტი შანსი გაჯავს იმისა, რომ ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდება. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები აფართოებენ იმის შესაძლებლობას, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს, ჰმატებენ ხალხებს რწმენას, რომ ურთულესი საერთაშორისო პრობლემებიც კი შეიძლება გადაიჭრას.

შრომითს ვახტზე

საქმემ გამოაჩინა

თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში არის ბრიგადა, რომელიც სამკერვალო საამქროს დამხმარე მასალებით ამარაგებს. მასზე დიდად არის დამოკიდებული მთელი საამქროს რიტმული მუშაობა. კოლექტივს ხელმძღვანელობს ლია კორახაშვილი.

საამქროში ისეთი საქმე არ გაჩნდება, რომელშიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ კომუნისტები და მათი წინამძღოლი ლია კორახაშვილი.

ხურათებზე: თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, სამკერვალო საამქროს კომუნისტთა წინამძღოლი ლია კორახაშვილი; სამკერვალო საამქროს პარტიული ბიუროს სხდომა.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაზაფხულს — საუკეთესო ტექნიკა

წითელწყაროსა და აბაშის რაიონების მექანიზატორთა მეჭანიზატორთა ვიმპართვა რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს

დღითი დღე ფართოვდება საქართველოს სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც განსაკუთრებული გაქანება პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის მასალების, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის გამოქვეყნების შემდეგ. წარმოების ზრდას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ეკონომიკის ეფექტიანობას უსახავს მიზნად რესპუბლიკის მშრომელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმიც. სოფლის მშრომელები, რომლებმაც ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები მოიმედების სახელმძღვანელოდ აღიქვეს, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა დამკვრელურად შეასრულონ შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები მინდვრებსა და პლანტაციებში, ბაღებსა და ბოსტნებში, სანიმუშოდ გამოაზამთრონ პირუტყვი. ამასთან ისინი ზრუნავენ მეთვრთმეტე ხუთწლედის მეორე წლის მოსავლისათვის, შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევის, ტექნიკის ეფექტიანი გამოყენებისათვის.

წითელწყაროსა და აბაშის რაიონების მექანიზატორებმა, რომლებიც სამმოთ უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გამოიჩინეს პატრიოტული თაოსნობა. მათ რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს მოუწოდეს სოციალისტური შეჯიბრება გაშალონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მანქანა-ტრაქტორთა პარკის დროული და ხარისხიანი მომზადების მიზნით. მაგალითად, წითელწყაროელები კისრულობენ მეოთხე კვარტალის გეგმა 25 დეკემბრისათვის, ხოლო 1982 წლის პირველი და მეორე კვარტალების დავალებები შესაბამისად 25 მარტისა და 20 ივნისისათვის შეასრულონ, 15 იანვრამდე მოამზადონ მთელი ნიადაგდასამუშავებელი და სათესი მანქანები, მარცვლეულის ასაღები კომბაინები, საკვების დასამზადებელი აგრეგატების 50 პროცენტი.

აბაშელები კი კისრულობენ ტრაქტორები, სათესი და ნიადაგდასამუშავებელი მანქანები 1 დეკემბრისათვის მოამზადონ, მარცვლეულის ასაღები კომბაინები და საკვებდასამზადებელი ტექნიკა — 1 ივნისისათვის.

წითელწყაროელი მექანიზატორები მაღალი ვალდებულებების აღებასთან ერთად პირობას დებენ საწვავ-საპოხი მასალების მომჭირნედ ხარჯვის შედეგად გაადიდონ ტრაქტორების გამოყენების კოეფიციენტი, ყველა კოლმეურნეობაში გასწნან ტრაქტორების სარემონტო სახელოსნოები, ტექნიკის მოვლის გაუმჯობესებისა და სწორი ექსპლოატაციის შედეგად ერთი მანეთით შეამცირონ თითოეული პირობითი ჰექტარი ხნულის თვითღირებულება.

აღნიშნული ამოცანების შესრულება რეალობად რომ იქცეს, საჭიროა კადრების მომზადების სწორად ორგანიზება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, მექანიზატორებისათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების კარგი პირობების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით 1982 წელს წითელწყაროს № 72 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მომზადდება ექართო პროფილის 30 შემანქანე ტრაქტორისტი, რაიონული გაერთიანება „საქსახსოფლტექნიკა“ ყველა კოლმეურნეობის ბაზაზე მოამზადებს 100 მექანიზატორს.

იკისრეს რა გადიდებული ვალდებულებანი, რაიონის მექანიზატორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს თავიანთი სიღონაღელი კოლეგები.

აბაშელებმა ვალდებულება იკისრეს უზრუნველყონ ტექნიკის მოვლის მაღალი დონე, მოაგვარონ მისი შეუფერხებელი მუშაობა და რაციონალური გამოყენება, მკვეთრად გააუმჯობესონ ტექნიკის რემონტისა და მომსახურების ხარისხი, ისინი ფართოდ გაავრცელებენ მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის გზით მკვეთრად აამაღლებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის მექანიზაციის დონეს. გარდა ამისა, აბაშელმა მექანიზატორებმა გადაწყვიტეს პიკ პერიოდში მოაწყონ აგრეგატების ერთნახევარ-ორ ცვლად მუშაობა, 10-15 პროცენტით გაადიდონ ტრაქტორების ეტალონური დატვირთვა, მიაღწონ სწვავის მომჭირნეობას, შეამცირონ ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები.

წითელწყაროსა და აბაშის რაიონების მექანიზატორები მოუწოდებენ ყველა კოლეგას რესპუბლიკაში გაშალონ შეჯიბრება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მანქანა-ტრაქტორთა პარკის დროული და ხარისხიანი მომზადების მიზნით, კიდევ ერთხელ გააანალიზონ გასული წლების ყველა ნაკლი. ტექნიკის დროული და ხარისხიანი მომზადება დიდად არის დამოკიდებული მეურნეობების სახელოსნოებში და „საქსახსოფლტექნიკის“ საწარმოებში სამუშაოთა სწორ ორგანიზაციაზე. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძალთა უნარიან განაწილებას, სათადარიგო ნაწილებითა და დეტალებით შეუფერხებელ მომარაგებას.

მეურნეობების, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების მექანიზატორთა და სპეციალისტთა ვალია, ნათქვამია მიმართვაში, ყველაფერი იღონონ, რათა სანიმუშოდ მოამზადონ ტექნიკა საგაზაფხულოდ, დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დაამთავრონ მიხდვრის სამუშაოები.

მიმართვა მიღებულია რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობების, „საქსახსოფლტექნიკის“ განყოფილებების მექანიზატორთა საერთო კრებაზე.

დელეგაცია გაემგზავრა

30 ნოემბერს მოსკოვიდან ერაყში ამ ქვეყნის პარლამენტის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის პ. გ. გილაშვილის მეთაურობით.

(საკადესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ზარალიანი მეურნეობების დასახმარებლად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის ზარალიანი და დაბალრენტაბელური კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეოთაშორისო საწარმოების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებით მოწონებულია 1982-1985 წლებში ზარალიანი და დაბალრენტაბელური კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეოთაშორისო საწარმოების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა „გაზ-მილების“ კონტრაქტი — ჩვენ საუკუნეში უდიდესი თაოსნობა ევროპის ფარგლებში ენერგეტიკული პრობლემის გადასაჭრელად. სხვა პროექტებთან ერთად, რომლებიც უკვე შეათანხმეს ან ამყარად განიხილავენ მხარეები, იგი სოლიდურ საფუძველს უქმნის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობის, იმ ურთიერთობის თანამიმდევრულ განვითარებას, მეოცე საუკუნის ფარგლებს რომ სცილდება.

მოლაპარაკების დროს და მხარეთა მიერ მიღებულ ერთობლივ კომუნიკეში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორმხრივი ინტერესების შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობის სასიკეთო განვითარება დადებითს ზემოქმედებას ახდენს მოლიანად სახელმწიფოთა ურთიერთობაზე და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტაბილურობასა და მშვიდობის დამკვიდრებას.

ვიზიტის დამთავრებისას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ ორივე სახელმწიფო კვლავაც ივლის ისტორიული მარშუტით, რომელიც სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში გაკვალა მოსკოვის ხელშეკრულებამ, ხოლო სრულიად ევროპის თაობირის მონანილე ყველა ქვეყნის ურთიერთობაში — ჰელსინკის საბოლოო აქტის ერთგული იქნება.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს მისცა მითითება, რომ განუხრელად და სრული მოცულობით სრულდებოდეს მორიგებანი, რომლებიც გამომდინარეობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამართული მოლაპარაკებიდან და საუბრებიდან და შეეხება თანამშრომლობის განვითარებას სავაჭრო-ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში.

საბჭოთა ადამიანებს ყველა საფუძველი აქვთ იმისა, რომ ღრმად კმაყოფილნი იყვნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურმა სხგარეო პოლიტიკამ, რომელიც მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო კოორდინაციით ხორციელდება, კვლავინდებურად ცხადყო, რომ მშვიდობისმოყვარული, მასშტაბური და ინიციატივიანია, ღრმად სწვდება ადამიანების გონებასა და გულს.

ხალხთა უშიშროებისა და პროგრესის, დაძაბულობის შენელების სასიკეთოდ, გამალებული შეიარაღების ასალგამავად საბჭოთა კავშირის საერთაშორისო საქმიანობა, ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ნელილი ამ დიადი მიზნების მიღწევაში ხელს უწყობს იმას, რომ მთელ დედამიწის ზურგზე მტკიცდება მისწრაფება: შევინარჩუნოთ კაცობრიობის ცივილიზაციის უდიდესი შენაძენი — მშვიდობა, ვიცავდეთ მას აქტიურად და ყოველდღიურად.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ძალუმად და მტკიცედ გაისმის ხალხების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალებისა და წრეების ხმა მშვიდობის დასაცავად, მით უფრო მეტი შანსი გაჯავს იმისა, რომ ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდება. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები აფართოებენ იმის შესაძლებლობას, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს, ჰმატებენ ხალხებს რწმენას, რომ ურთულესი საერთაშორისო პრობლემებიც კი შეიძლება გადაიჭრას.

დიდმნიშვნელოვანი მშენებლობის ფინიშზე

სულ ცოტა დრო დარჩა რუსთავის ქიმიურ ქარხანაში ამიაკის საწარმოო საამქროთა კომპლექსის მეორე რიგის ამოქმედებამდე. ამ მძლავრი ობიექტის დროულ ამუშავებაზე დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ესოდენ საჭირო მინერალური სასუქების გამოშვების გადიდება. სამწუხაროდ, მშენებლების, მონტაჟიორების, წარმოების მუშაკების შეუთანხმებელი მუშაობის გამო ობიექტის ჩაბარების ვადამ რამდენჯერმე გადაიწია.

ახლა ამოცანაა ჩამორჩენის რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრა და იმის უზრუნველყოფა, რომ კომპლექსის მეორე რიგი უთუოდ გადაიცეს საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის დეკემბერში. ამისათვის საჭიროა შრომითი და მატერიალური რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია, მშენებლების, მონტაჟიორების, ქიმიკოსების მობილურობის ამაღლება, ტექნიკისა და კადრების უსწრაფესი გადაჯგუფება.

ამ და სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას მიეძღვნა ქიმიური ქარხნის ობიექტის მშენებლობაზე დასაქმებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების აქტივის თათბირი, რომელიც რუსთავში გაიმართა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

თათბირზე აღინიშნა მთელი რიგი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების სუსტი მუშაობა. კერძოდ, გააკრიტიკეს „სამხრეთმონტაჟავტომატიკის“ ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს, ბაქოს სამონტაჟო სამმართველოს „ძრავმონტაჟისა“ და სხვა კოლექტივები, რომლებმაც არაერთხელ ჩაშალეს დიდი აგრეგატების ჩაბარების ვადები.

ორატორებმა: საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ი. კობახიძემ, რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექტორმა გ. ტ. გოგოლაძემ, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის მმართველის მოადგილემ ტ. ვ. მანჯგალაძემ, საქართველოს სსრ „მთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამართველოს უფროსის მოადგილემ ა. ა. ავეტისოვმა, „სამხრეთმონტაჟავტომატიკის“ ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა ი. გ. ყოჩიაშვილმა, ბაქოს სამონტაჟო სამმართველოს „ძრავმონტაჟის“ უფროსმა ა. გ. მამედ-ზადემ, თბილისის „მონტაჟთერმონაწარმის“ სამმართველოს უფროსმა გ. ი. ჩიჩუამ და სხვებმა შეკრებილთ აცნობეს, თუ რა მუშაობა გასწიეს საქმის გაუმჯობესებისათვის, და აღუთქვეს, რომ დიდი ქიმიის მნიშვნელოვანი ობიექტი მწყობრში ჩადგება მიმდინარე წლის დეკემბერში.

მშენებლების, მემონტაჟეების, თვით ქიმიკოსების ღირსების საქმეა, რაც შეიძლება სწრაფად გადასცეს საექსპლოატაციოდ მძლავრი ობიექტი.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა გ. ვ. კოლბინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობას განყოფილების გამგე ბ. დ. მახარაშვილი.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ დ. ლ. ქართველიშვილის, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ დ. ნ. დვალიშვილის მოხსენებათა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის თანამოხსენების გამო

დეპუტატ

გ. დ. გაგუნიას

სიტყვა

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის და 1982 წლის გეგმების პროექტები, აგრეთვე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი. ეს პროექტები ასახავენ რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის შემდგომი წინსვლის ინტერესებს. ჩვენ ვიწონებთ წარმოდგენილ პროექტებს და შემოგვაქვს წინადადება დამტკიცდეს ისინი. ნება მომეცით გამოვთქვა მოსაზრება თბილისის შემდგომი განვითარების ზოგიერთი საკითხის გამო.

უკანასკნელ წლებში თბილისში სტაბილურად სრულდება ბინათმშენებლობის გეგმები. მაგრამ საბინაო პრობლემა კვლავ ერთ-ერთ ყველაზე უპირველეს და უმთავრეს პრობლემად რჩება: გამოვთქვამთ იმედს, რომ გათვალისწინებულ იქნება შექმნილი მდგომარეობა და ხუთწლედის მომდევნო წლების გეგმების ჩამოყალიბების პროცესში გამოიძებნება საშუალება ბინათმშენებლობის ახლანდელი დონის შესანარჩუნებლად.

ცხადია, საბინაო პრობლემა მოიცავს არსებული ფონდის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას. ამ ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი გასულ საუკუნეშია აშენებული. ამჟამად უკვე 2000-ზე მეტ კომუნალურ სახლს გაუვიდა კაპიტალური რემონტის ნორმატიული ვადები, მათ შორის ნახევარი ავარიულია. სახლრების უკმარისობის გამო ყოველწლიურად კაპიტალურად რემონტდება საშუალოდ მხოლოდ 200 სახლი.

ქალაქის ნორმალური წყალმომარაგება კვლავ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ყინვალის კომპლექსი, რა თქმა უნდა, დაგვეხმარება მის გადაწყვეტაში, მაგრამ ამ ობიექტის დამთავრებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება.

რჩება ერთი გამოსავალი — მოკლე ვადაში ავამოქმედოთ ახალი სათავე ნაგებობები. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ამჟამად იხილავს ჩვენს წინადადებას ახალი წყალსადენის მშენებლობის შესახებ მდინარე ქსნის ფილტრატების ბაზაზე. ჩვენი თხოვნაა დაჩქარდეს ამ პრობლემის გადაწყვეტა და წყალსადენის მშენებლობა უმოკლეს ვადაში განხორციელდეს.

თბილისში მძიმე მდგომარეობაშია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ მხრივ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის თბილისი ბოლოსწინა ადგილზეა და სამჯერ ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ადრინდელზე უკეთ ასახავს დედაქალაქის მოთხოვნებს, მაგრამ რესპუბლიკისა და ქალაქის ბიუჯეტების ზრდის ტემპებს შორის დისპროპორცია კვლავ რჩება.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრების ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების ყოველდღიური საზრუნავია.

დეპუტატ

ვ. მ. ცუბგბას

სიტყვა

აფხაზეთის შრომითი ცხოვრების რიტმი, მისი ატმოსფერო მთლიანად და სავსებით ეხმიანება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახული კონკრეტული ამოცანები, მათი მიღწევის გზები და საშუალებები დაედო საფუძვლად ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობას.

მეათე ხუთწლედში აფხაზეთში სამრეწველო წარმოების მოცულობა 42,5 პროცენტით გაიზარდა. ამასთან თითქმის მთელი ეს მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. შესრულდა სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმები. ამაღლდა წარმოების რენტაბელობა, მუშებისა და კოლმეურნეების შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად დაჩქარდა საბინაო მშენებლობის ტემპი.

დინამიკურობითა და სტაბილურობით ხასიათდება ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაცია მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელსაც, რაც რეალურ წანამძღვრებს ქმნის ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული განვითარებისათვის.

ყოველივე ეს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, აფხაზი მშრომელების აღმშენებლობითი მეცადინეობის, იმის შედეგია, რომ ისინი ღრმად ჩაწვდნენ და შეიფასეს ის ზრუნვა და დახმარება, რომელსაც გვიწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის შემდგომ განვითარებაში.

ვაფასებთ რა წარმატებას, კარგად გვესმის, რომ ჯერაც ბევრი გვაქვს პრობლემა და გადაუჭრელი საკითხი, მათ შორის ძალზე სერიოზული საკითხები. ვაანალიზებთ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გუშინდელი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და კარგად ვხედავთ, რომ სახალხო მეურნეობის ბევრ რგოლში არ არის უზრუნველყოფილი ხელმძღვანელობის საჭირო დონე, ბოლომდე ვერ გადაწყვიტეთ შრომითი რესურსების სრულად გამოყენების საკითხი, ჯერ კიდევ შეიმჩნევა ჩამორჩენა მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების ამოქმედებაში.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისათვის 1982 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც ახლანდელმა სესიამ განიხილა, ითვალისწინებს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ აღმავლობას. ეს საკმარისად დაწვრილებით აისახა იმ თავში, სადაც ლაპარაკია ავტონომიური წარმონაქმნების განვითარების შესახებ. მთლიანად და სავსებით ვიწონებთ რა წარმოდგენილ პროექტებს, ნება მომეცით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მთავრობას აღვუთქვა, რომ აფხაზეთის მშრომელები თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში.

დეპუტატ

მ. რ. გახუტაშვილის

სიტყვა

რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს გულდასმით გავეცანი. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ აქ წარმოდგენილი ციფრები იმაზე მეტყველებენ, თუ მიმდინარე ხუთწლედში როგორ განმტკიცდება სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ამაღლდება კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების დონე.

რთული და არახელსაყრელი იყო მიმდინარე წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის. უჭირდა ვაზსაც და მევენახეებსაც, მაგრამ სიღნაღის რაიონმა თითქოს შეუძლებელი შეძლო — მოგკრიფეთ და სამშობლოს მივყიდეთ 61 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, რაც გეგმას 4 ათასი ტონით სჭარბობს. ყურძენის დამზადება მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს მიაღწევს 100 ათას ტონას. ამ გეგმის სარეალიზაციოდ რაიონში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, ავითვისეთ 500 ჰექტარი ბუჩქმოდებული და წინათ გამოუყენებელი მიწები, ყოველწლიურად 700-800 ჰექტარი ახალი ვენახი დგება მწყობრში, ამასთან მიმდინარეობს მობერებული ვენახების რეკონსტრუქცია.

მევენახეობის სწრაფმა ზრდამ თავისი კეთილი კვალი დაჩნია კოლმეურნეთა საოჯახო ბიუჯეტს, პარტიის XXVI ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა, რომ ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს. მე, როგორც ახალგაზრდა მევენახეს, დანაშაულად მიმაჩნია ივრისა და ალაზნის მაღალნაყოფიერი მიწების გამოყენება სხვა კულტურებისათვის, რამდენადაც ვაზი 4-5-ჯერ მეტ უკუგებას იძლევა. სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 5 წლის წინ ვენახების ფართობი 200-300 ჰექტარს არ აღემატებოდა. მაშინ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 500 ათას მანეთს არ ასცილებია. სულ სხვა სურათია დღეს, ვენახმა 600 ჰექტარს გადააჭარბა, წლიურმა ფულადმა შემოსავალმა კი 2.207 ათასი მანეთი შეადგინა, მომაგრდა და წელში გასწორდა კოლმეურნეობის ეკონომიკა.

ბევრი რამ კეთდება ქალაქ სიღნაღის განვითარებისათვის. მის ისტორიულ და განუმეორებელ არქიტექტურას ახალი ეფერადობა მიანიჭა ხალხური ეპოსის გმირის ამირანის მონუმენტმა და სიღნაღ-წნორის საბაგირო გზამ, რომლებიც დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავის დღესასწაულის დღეს საზეიმოდ გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მაგრამ სიღნაღს, სადაც განლაგებულია XVII-XVIII საუკუნის ძეგლები და არქიტექტურული ანსამბლები, მეტი ყურადღება სჭირდება.

ჩვენი თხოვნაა, რესპუბლიკის მთავრობამ განიხილოს ქალაქ სიღნაღის, როგორც ქალაქ-მუზეუმის აღდგენისა და რესტავრაციის საკითხი, რაც მნიშვნელოვანი წვლილი იქნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადებაში.

დეპუტატ

გ. ე. ჩიგოგიძის

სიტყვა

საბჭოთა აჭარის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ, ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანები თანამიმდევრულ ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა მკვეთრად გაიზარდოს ჩაის, ციტრუსების, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ამას წინათ პარტიის საოლქო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ერთობლივად განიხილეს ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცნიერულების შემდგომი განვითარების საკითხი, რომლის განხორციელება განსაზღვრავს ამ დარგის შემდგომ აღმავლობას. ხორციელდება მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებები ჩაის წარმოების გადიდების მიზნით.

სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობა, რომლის განვითარებას აჭარაში უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მაგრამ ეს დარგი კვლავ მწვავედ განიცდის საწარმოო სიმძლავრეთა უკმარისობას, რის გამოც ჩვენ ყოველწლიურად ვკარგავთ მილიონობით მანეთის მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტების გამოშვების შესაძლებლობას. აჭარაში გათვალისწინებული ორი ჩაის ფაბრიკის მშენებლობა მაინც ვერ მოსპობს ჩაის გადამამუშავებელ საწარმოო სიმძლავრეთა დეფიციტს. 1981-1985 წლებისათვის უნდა დაიგეგმოს არსებული ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქციაგაფართოების უფრო ფართო პროგრამა.

აჭარის ეკონომიკისა და, კერძოდ, მისი მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 თებერვლის დადგენილება. ამ დადგენილების შესაბამისად ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ დადგენილებიდან გამომდინარე მთელმა რიგმა საკითხებმა სათანადო ასახვა ვერ პოვეს მიმდინარე ხუთწლედის გეგმის პროექტში. ვთხოვთ სესიას გაითვალისწინოს დამატებითი ასიგნებანი აჭარის მაღალმთიანი რაიონების განვითარებისათვის.

აჭარის მშრომელები არ დაშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, რათა პირნათლად შეასრულონ 1981 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმები.

დეპუტატ

ვ. ჰ. კოჩოიანის

სიტყვა

სასურსათო საკითხები ყოველთვის იდგა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს ყურადღების ცენტრში, მაგრამ ისეთ დონეზე, როგორც დღეს, ისინი არასოდეს არ მდგარა. ცხოვრება უფრო მდიდარი, უკეთესი გახდა, და ამიტომ პარტია ყველაზე სერიოზულ ყურადღებას უთმობს სასურსათო პროდუქტებზე საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების საკითხებს.

დღეს ჩვენ სიამაყით მოვახსენებთ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიას, რომ ამ მიმართულებით ბოგდანოვკის რაიონმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ჩვენ შევძელით დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენს მაღალი მთის რაიონში, შეიძლება არა მარტო მეცხოველეობის განვითარება, არამედ დიდი წარმატებით კარტოფილის, მარცლეულის მოყვანაც, ამასთან მარტო მოყვანა კი არა, სტაბილურად უხვი მოსავლის მიღებაც. მაგალითად, კარტოფილის ჰექტარობრივი მოსავლიანობის მიხედვით რაიონი უკვე მეორე წელია პირველ ადგილს იკავებს რესპუბლიკაში, მარცვლეულის მოსავლიანობის მიხედვით კი ერთ-ერთ პირველს.

უნდა ითქვას, რომ მთავარ ყურადღებას ვუთმობთ მთლიანი წარმოების ზრდას და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვას. თუ, მაგალითად, მეცხრე ხუთწლედის მანძილზე რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 3600 ტონა მარცვლეული, მარტო 1981 წლის მანძილზე ჩვენმა მეურნეობებმა 4.500 ტონა მარცვლეული მიჰყიდეს. ეს წარმატებები კი მიღწეულია გვიანი გაზაფხულისა და ნაადრევი შემოდგომის პირობებში, როცა დიდი ზარალი მოგვაყენა უძლიერესმა გვალვამ, დამანგრეველმა ქარიშხალმა, კოკისპირულმა წვიმებმა.

ყურადღებით შევისწავლე რაიონში არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი და წერილით მივმართე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა გამეზიარებინა მოსაზრებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გაზრდის პროგრამის რეალიზაციის თაობაზე. დიდად გამიხარდა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა წერილი, მიიღო სპეციალური დადგენილება და დაავალა რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებს ყურადღებით შეესწავლათ ჩვენი შესაძლებლობანი და დახმარება გაეწიათ რაიონისათვის.

თუ მეთერთმეტე ხუთწლედში ისეთივე ტემპით ვიმუშავებთ, როგორც მეათე ხუთწლედის უანასკნელი ორი წლის მანძილზე ვმუშაობდით, 1985 წლისათვის თითქმის ორჯერ გავზრდით სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვას, რითაც ჩვენ წვლილს შევიტანთ რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

დეპუტატ

მ. შ. გრძელიძის

სიტყვა

ქუთაისის მუშათა კლასი, ქალაქის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები თითოეულ ჩვენგანს ახალი შრომითი მოჯნების მისაღწევად გვრაზმავს.

ქუთაისის მშრომელებმა სამრეწველო პროდუქციის წარმოების 10 თვის სახელმწიფო გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულეს, ხოლო რეალიზაციის მაჩვენებელმა 100,8 პროცენტი შეადგინა. ზეგეგმით გამოშვებულია 9 მილიონ 470 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც 2 მილიონი მანეთით აღემატება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტურ ვალდებულებას. მთლიანი პროდუქციის 33,4 პროცენტი ხარისხის ნიშნით გამოდის.

საერთო წარმატებებში ჩემი მშობლიური კოლექტივის — სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის წვლილია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე ჩვენი საწარმო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენს. მხარს ვუჭერთ რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს და შემოგვაქვს წინადადება დამტკიცდეს ისინი.

დეპუტატ

